



IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

ეთიკის კოდექსი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 23/10/2017წ. - ოქმი №12 (დანართი №1)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი
წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების
განხორციელებას.

მომზადა: იურიდიული სამსახური _____

დაამტკიცა: აკადემიური საბჭო _____

დოკუმენტის No: IBSU.R2G

ვერსია: 5.00

განახლების თარიღი:
01/11/2021

დამტკიცების თარიღი:
23/10/2017

შემოწმებული ვერსია შემოწმებული ვერსია

შპს-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო
განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით.
ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელ
ერთეულს.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები	3
ცვლილებების ნუსხა	4
მუხლი 1 ზოგადი დებულებები	5
მუხლი 2 პერსონალი	5
მუხლი 3 სტუდენტი	8
მუხლი 4 დასკვნითი დებულებები	8

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	გადაწყვეტილების №	თარიღი
1.	აკადემიური საბჭო	3	08.02.2019
2.	მმართველი საბჭო ¹	1	01.11.2021

თავდაპირველი რედაქცია: 23.10.2017

¹ უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებით, 01 ნოემბრიდან, მმართველ საბჭოს მიენიჭა წინამდებარე დოკუმენტის ცვლილების უფლებამოსილება.

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
1.	08.02.2019	2	პერსონალი
2.	01.11.2021	2	პერსონალი
3.	01.11.2021	4	დასკვნითი დებულებები

მუხლი 1 ზოგადი დებულებები

- 1.1 წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ქცევის ეთიკურ ნორმებსა და მათ დარღვევასთან დაკავშირებულ შედეგებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა და მასწავლებლების (შემდგომში „პერსონალი“), აგრეთვე სტუდენტების ქცევის ეთიკურ ნორმებს.
- 1.2 წინამდებარე კოდექსი შესასრულებლად სავალდებულოა უნივერსიტეტის პერსონალისა (აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული ლექტორები და მასწავლებლები) და სტუდენტებისათვის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი).
- 1.3 უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები იზიარებენ უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას, პატივს სცემენ და იცავენ ღირებულებებს, რომლებიც დამკვიდრებულია უნივერსიტეტის საზოგადოებაში და აღიარებენ და ეთანხმებიან უნივერსიტეტის უფლებას, წინამდებარე დოკუმენტითა და უნივერსიტეტის სხვა შესაბამისი დებულებებით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტმა განიხილოს მათ მიმართ შესაბამისი ზომების მიღების საკითხი.
- 1.4 პერსონალი და სტუდენტები ვალდებული არიან დაიცვან წინამდებარე წესები. აღნიშნული წესების დარღვევა გამოიწვევს წინამდებარე კოდექსით დადგენილ შედეგებს, მათ შორის, დისციპლინური წარმოების დაწყებას პერსონალისა და სტუდენტების მიმართ, შესაბამისი დებულებებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 2 პერსონალი

- 2.1 უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია განახორციელოს მისი საქმიანობა წინამდებარე კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად.
- 2.2 სასწავლო პროცესი:
 - 2.2.1 სასწავლო პროცესის წარმართვა უნდა ხორციელდებოდეს უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამისა და უნივერსიტეტის დებულებების შესაბამისად;
 - 2.2.2 სალექციო თემატიკა, სტრუქტურა და სწავლების მეთოდოლოგია უნდა განახლდეს პერიოდულად.

- 2.3 სტუდენტებთან ურთიერთობა:
- 2.3.1 ლექციაზე ლექტორი უნდა შევიდეს დროულად, მომზადებული და ორგანიზებული. არ უნდა დაუშვას ლექციის დროზე ადრე დამთავრება, აგრეთვე საპატიო მიზეზის გარეშე გაცდენა;
 - 2.3.2 ლექტორმა სტუდენტები უნდა შეაფასოს ობიექტურად, უზრუნველყოს შეფასების გამჭვირვალობა, არ დაუშვას სტუდენტთა დისკრიმინაცია და მათთან ურთიერთობაში დაიცვას აკადემიური ქცევის საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტები.
- 2.4 კოლეგებთან და ადმინისტრაციასთან ურთიერთობა:
- 2.4.1 პერსონალმა პატივი უნდა სცეს კოლეგებს. კოლეგის კრიტიკა უნდა იყოს კონსტრუქციული. დაუშვებელია კოლეგის დამცირება, შეურაცხყოფა ან ანონიმურად დადანაშაულება;
 - 2.4.2 უნივერსიტეტის სახელით პრესასთან ან მასმედიის სხვა საშუალებებთან ოფიციალური განცხადების გაკეთება უნდა იყოს შეთანხმებული უნივერსიტეტის უფლებამოსილ პირთან.
- 2.5 უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის პროცესში დაიცვას აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპები.
- 2.6 წინამდებარე მუხლის 2.5 პუნქტით განსაზღვრული აკადემიური კეთილსინდისიერების მიზნებისათვის, პერსონალი ვალდებულია:
- 2.6.1 არ გამოიყენოს, მიითვისოს და გაავრცელოს სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგი, იდეა, ტექსტი, კონცეფცია, კვლევის შედეგები, ასევე ნებისმიერი სახის მონაცემები და მასალები წყაროს მითითების გარეშე (პლაგიატი);
 - 2.6.2 არ გამოიყენოს საკუთარი ნაშრომი განმეორებით პირველადი წყაროს მითითების გარეშე (თვითპლაგიატი). ამასთან, ახალი ნაშრომი უნდა შეიცავდეს თვისებრივ სიახლეს;
 - 2.6.3 შეგნებულად არ გააყალბოს და/ან არ გამოიყენოს გაყალბებული კვლევის შედეგები, ციტატები და/ან ნებისმიერი სახის ინფორმაცია აკადემიურ ნაშრომში (ფალსიფიკაცია).
- 2.7 უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში, სამუშაო დროს და მის გარეთ პერსონალი უნდა უფრთხილდებოდეს უნივერსიტეტის სახელსა და საქმიან რეპუტაციას.

- 2.8 უნივერსიტეტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, პერსონალი ვალდებულია უნივერსიტეტის უფლებამოსილ პირს გადასცეს უნივერსიტეტთან თან დაკავშირებული ყველა იმ საინფორმაციო პლატფორმის (სოციალური ქსელი, მონაცემთა ბაზა, კორპორატიული ელ.ფოსტა და ა.შ) მომხმარებლის სახელი, პაროლი/გასაღები და სხვ, რომელზეც მას წვდომა ჰქონდა უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში.
- 2.9 პერსონალის მიერ აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის დროს წინამდებარე მუხლის 2.6 პუნქტით დადგენილი ნორმების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ეცნობება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ფაკულტეტის დეკანთან ერთად განიხილავს დარღვევის ფაქტს. დარღვევის საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს დისციპლინური წარმოების დაწყების მიზნით, შესაბამისი კომისიის შექმნის თაობაზე, რომლის შემადგენლობაში რექტორის მიერ განსაზღვრულ პირებთან ერთად უნდა შედიოდნენ დარგის სპეციალისტები როგორც უნივერსიტეტის პერსონალიდან (ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით), ისე გარედან მოწვეული პირები.
- ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის №3 ოქმით.*
- 2.10 წინამდებარე მუხლის 2.9 პუნქტით განსაზღვრული კომისია ვალდებულია ჩაატაროს სრული და ამომწურავი მოკვლევა დაფიქსირებული დარღვევის ფაქტზე. ამასთან, კომისიის მუშაობა, პლაგიატის ფაქტის დადასტურებამდე, უნდა იყოს კონფიდენციალური. კომისიის მიერ დარღვევის ფაქტის დადასტურების თაობაზე შესაბამისი დასკვნის მიღების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე ეცნობება დამრღვევ პირს, რომელსაც უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას საპასუხო მოსაზრება კომისიის წინაშე.
- 2.11 თუკი წინამდებარე მუხლის 2.10 ქვეპუნქტით დადგენილ შემთხვევაში, დამრღვევი პირი ვერ დაადასტურებს დარღვევის ფაქტის არარსებობას, საკითხი განსახილველად გადაეცემა მმართველ საბჭოს, რომელიც საქმის გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა პირის მოსაზრების მოსმენის შემდეგ, წყვეტს დამრღვევისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხს.
- ცვლილება შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის №1 ოქმით.*
- 2.12 ქმედებები, რომლებიც შესაძლოა გახდეს პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, აგრეთვე შესატყვისი დისციპლინური ზომები და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურა

გაწერილია „პერსონალის მართვის პოლიტიკითა“ და უნივერსიტეტის სხვა დებულებებით.

მუხლი 3 სტუდენტი

სტუდენტი ვალდებულია:

- 3.1 პატივი სცეს უნივერსიტეტის სახელსა და საქმიან რეპუტაციას, როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
- 3.2 დაიცვას ეთიკის კოდექსის, უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებისა და სხვა შიდა დებულებებით დადგენილი, უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობასთან, ასევე საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული პირობები;
- 3.3 უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები (მათ შორის ბიბლიოთეკა და საინფორმაციო რესურსები) გამოიყენოს მართლზომიერად, საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
- 3.4 დაიცვას აკადემიური პატიოსნების პრინციპები აკადემიური ნაშრომის მომზადებისას, უნივერსიტეტის დებულებებით განსაზღვრული წესით.
- 3.5 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, გადასცეს უნივერსიტეტის უფლებამოსილ პირს უნივერსიტეტთან დაკავშირებული ყველა იმ საინფორმაციო პლატფორმის (სოციალური ქსელი, სტუდენტური ელ.ფოსტა და ა.შ) მომხმარებლის სახელი, პაროლი/გასაღები და სხვა, რომელზეც მას წვდომა ჰქონდა უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში.
- 3.6 ქმედებები, რომლებიც ასევე შესაძლოა გახდეს სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, აგრეთვე შესატყვისი დისციპლინური ზომები და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურა გაწერილია „სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესში“.

მუხლი 4 დასკვნითი დებულებები

- 4.1 საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე კოდექსით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის დებულებებით.
- 4.2 წინამდებარე დოკუმენტში ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება შედის მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით.
ცვლილება შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის №1 ოქმით.
- 4.3 წინამდებარე კოდექსი ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

ცვლილება შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის №1 ოქმით.



4.4 წინამდებარე კოდექსის შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება რექტორის მიერ.

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შხსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

შხსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131
თბილისი, საქართველო
www.ibsu.edu.ge
contact@ibsu.edu.ge

